სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს
ბრძანება №REG 6 24 00001825

2024 წლის 2 ივლისი

ქ. თბილისი
სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის და ლიცენზიის დანართის გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (მუხლი 6, მუხლი 8, მუხლი 10) და „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების (დანართი №1) შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. გაიცეს შპს „არქიმედეს კლინიკაზე“ (ს/ნ 404869567, ფაქტობრივი მისამართი: სიღნაღის რაიონი, ქალაქი წნორი, ბაგრატიონის ქუჩა №12) „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია“ და ლიცენზიის დანართი: „სპეციალიზებული დახმარება“.

2. დაევალოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიების და აკრედიტაციის სამმართველოს სალიცენზიო მოწმობის და სალიცენზიო მოწმობის დანართის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. დაევალოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიების და აკრედიტაციის სამმართველოს ლიცენზიის და ლიცენზიის დანართის გაცემის შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საფუძველი:

შპს „არქიმედეს კლინიკის“ (ს/ნ 404869567 დირექტორის, ნინო აკობიძის განცხადებები: №492520, 01.05.2024წ. და №562108, 24.05.2024წ.

ადგილზე შემოწმების აქტი: № ლნ - 1165 – 106, 27.06.2024წ.

ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი: №20, 02.07.2024წ.

სააგენტოს დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი **ლეილა ქოჩიაშვილი**